პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 22 აპრილი, 1958 წელი
№ 48 (1218)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

# ლენინის იდეები გვინათებენ გზას!

დღეს შესრულდა 88 წელი მშრომელთა გენიალური ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადებიდან.

ჩვენი სამშობლოს, დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები და ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანები სიხარულით აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, რადგან ლენინის ბრძნულმა მოძღვრებამ, როგორც საბრძოლო დროშამ, თავის გარშემო შეამჭიდროვა მშრომელთა ფართო მასები, რომლებმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ექსპლოატატორებს.

ლენინის გზით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნისტურ პარტიას, პარტიას, რომელიც შექმნა და რევოლუციურ ბრძოლებში გამოატარა გენიალურმა ლენინმა. მიჰყვება რა ამ გზას, საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა შეუდარებელი გმირობა — ააშენა მთელ მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება, გადააქცია მშობლიური ქვეყანა დიდ ინდუსტრიულ, მოწინავე სოფლის მეურნეობის სახელმწიფოდ, გაანადგურა სამშობლოს აურაცხელი მტრები, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში აღედგინათ კაპიტალისტების ბატონობა.

ლენინის დაბადებიდან 88-ე წლისთავს ჩვენ აღვნიშნავთ დიდ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოები კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ, თავგამოდებით იბრძვიან მთელ მსოფლიოში ახალი ომის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების ფართო მხარდაჭერას პოულობს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომლის საფუძველია ლენინის პრინციპი საზოგადოებრივი წყობის მიუხედავად სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

იბრძვიან რა იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ მუშათა კლასი და მისი ავანგარდი — კომუნისტური და მუშათა პარტიები პროტესტით გამოდიან იმპერიალისტთა ცდის წინააღმდეგ, რომლის მიზანია გათიშონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა.

ლენინის იდეებით გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მიიღო, როგორც კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო პროგრამა. ლენინური პრინციპულობა საფუძვლად უდევს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელს საქმიანობას.

ლენინიზმის სწორუპოვარი იდეების განხორციელებამ უდიდესი წარმატებები მოუპოვა საბჭოთა სახელმწიფოს, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ევროპის ბევრი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარების საქმეში. განსაკუთრებული წარმატება იქნა მოპოვებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ. მთელი რიგი უდიდესი ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კიდევ უფრო მძლავრი გახდა ჩვენი სოციალისტური სამშობლო, მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური ყოფაცხოვრების დონე. ამ დიდ მიღწევებს საბჭოთა ხალხი უმადლის დიად კომუნისტურ პარტიას ლენინის პარტიას, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო მიჰყავს წინ ახალ-ახალი წარმატებებისაკენ.

მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!



ვ. ი. ლენინი დასვენების დროს.

რეპროდუქცია მხატვარ პ. სუდაკოვის ნახატიდან.

# პროფკავშირებში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა პროფკავშირებში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. მასში აღნიშნულია, რომ ტერიტორიული პრინციპით ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა გარდაქმნის განხორციელებამ ხელი შეუწყო ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტ-მასობრივი მუშაობის ოპერატიული ხელმძღვანელობის თავმოყრას უშუალოდ ქალაქებში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში. შექმნილია დიდი შესაძლებლობანი მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, სპორტული ნაგებობებისა და ბაზების უკეთესი გამოყენებისათვის. ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ზამთრის სპარტაკიადების, პროფკავშირულ-კომკავშირული კროსისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში.

ამასთან, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების ბევრი ორგანიზაცია სუსტად ეხმარება ფიზკულტურულ კოლექტივებს, ორგანიზაციას არ უკეთებს საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მასობრივ მომზადებას, თავიანთ მუშაობაში ეყრდნობა მხოლოდ ხელფასიან მწვრთნელებს.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ფართო მზადება გაშალონ პროფკავშირთა 1958 წლის მეექვსე საკავშირო სპარტაკიადისათვის და საბჭოთა კავშირის ხალხთა 1959 წლის მეორე სპარტაკიადისათვის და უახლოეს სამ წელიწადში მიაღწიონ პროფკავშირების ფიზკულტურელთა რიცხვის არა ნაკლებ ორმაგად ზრდას, ფიზკულტურაში, სპორტსა და ტურიზმში ჩაბმულთა რიცხვი გაზარდონ 10 მილიონამდე.

სპორტულ საზოგადოებებს და პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სისტემატურად ჩაატარონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი მუშებსა და მოსამსახურეებს შორის, ფიზკულტურულ კოლექტივებში შექმნან ტურისტული და სათევზაო-სამონადირეო სექციები. ქალაქგარეთ დასვენების ბაზები, ბანაკები და თავშესაფარები ტურისტთათვის, ორგანიზაცია გაუკეთონ კლუბებში, კულტურის სასახლეებსა და სპორტნაგებობებზე ტურისტული და სათევზაო-სამონადირეო იარაღების იაფფასიანი ქირით გაცემას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და ნებაყოფლობითმა სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სტუდენტთა, ბავშვებსა და მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას, აგრეთვე ფართოდ დანერგონ წარმოება-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიში.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის წარმატებით მომზადების მიზნით ჩაატაროს კომკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობით ფიზკულტურული კოლექტივების დათვალიერება და აგრეთვე დააწესოს მედლები იმ სპორტსმენთა დასაჯილდოებლად, რომლებიც თავს გამოიჩენენ საკავშირო შეჯიბრებებში.

# სამამულო ფეხბურთის იუბილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეკარე გუნდის იმედია

თუ ვინ არის მეკარე და რა როლს ასრულებს იგი ფეხბურთის გუნდში, ვფიქრობ, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. ფეხბურთის ყოველმა მოყვარულმა კარგად იცის, რომ მეკარე უმნიშვნელოვანესი ფიგურაა დაცვის ხაზში, რომელიც უშუალოდ დარაჯობს კარს. მეკარე გუნდის იმედია.

მაგრამ საინტერესოა რა მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს ეს სიტყვები — „კარგი მეკარე“? რა, ლამაზი უნდა იყოს იგი? თმახუჭუჭა? რასაკვირველია არა. თუმცა ისიც სასიამოვნოა, როცა კარში დგას ატლეტური აგებულების, ლამაზად ჩაცმული მეკარე. განა ცუდი იყო, როცა თბილისის გუნდებს ისეთი კოხტა მეკარეები ჰყავდათ, როგორც ა. პოპკოვი, ა. დოროხოვი, ნ. სოლონინი, ა. ტყებუჩავა, ვ. სანაია, ს. შუდრა და სხვანი. მათ უყვარდათ სპორტული ფორმის ლამაზად მორგება ტანზე, სიფაქიზე. ეს შნოსა და ლაზათს აძლევდა არა მარტო მათ, არამედ გუნდსაც.

შეიძლება ბევრმა იფიქროს — რას ამბობს ეს კაცი, რა შუაშია სილამაზე, ფორმა და კარგი თამაში. დე, მეკარემ ჯილანიც ჩაიცვას, ოღონდ ბურთს ნუ გაუშვებს. შეიძლება ასეთი შენიშვნა სწორიც იყოს, მაგრამ ის, ვინც პატივს სცემს საკუთარ თავს, კოლექტივს, მაყურებლებს, იგი მეტ ერთგულებასა და მონდომებას იჩენს თამაშშიც. ეს ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს.

მაგრამ განა მარტო გარეგანი სიკოხტავით გამოირჩეოდნენ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ძველი მეკარეები. ვისაც უნახავს, არასოდეს დაავიწყდება პოპკოვის სხარტი ნახტომები, მისი გაბედული გამოსვლა კარიდან მოწინააღმდეგის ფეხებში ჩავარდნისათვის. პოპკოვი შესანიშნავი მეკარე იყო და მის მაგალითზე აღიზარდნენ ჩვენი გამოჩენილი მეკარეები დოროხოვი, სოლონინი და სხვანი. გუნდს ყოველთვის ჰქონდა მათი იმედი, ვინაიდან ამ მეკარეებმა დროულად იცოდნენ საკუთარი დაცვის ქებაცა და შეფუცხუნებაც, დამშვიდებაც და გაწყრომაც. ფეხბურთში არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც მეკარე, როგორც უკანა პოზიციაში მდგარი მოთამაშე, კარნახობს და ხელმძღვანელობს დაცვას. ჩვენი ძველი მეკარეები შეუცდომლად კარნახობდნენ მცველებს მოკლე და გასაგები წამოძახილებით თუ როგორ განლაგებულიყვნენ, ვის სად უნდა გადაენაცვლა, როგორ ეთამაშა. მცველებიც დარწმუნებით ენდობოდნენ მათ, უჯერებდნენ და ასრულებდნენ ყოველ რჩევას, რადგან იცოდნენ, რომ მათ მეკარეებს მახვილი თვალი და სწორი ალღო ჰქონდათ.

არ დამავიწყდება ერთი ამბავი, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მოვხვდი თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში. გამიკვირდა, როგორ უსიტყვოდ ასრულებდნენ ჩემს კარნახს ისეთი გამოცდილი და სახელმოხვეჭილი ფეხბურთელები, როგორიც იყვნენ შ. შავგულიძე, ბ. ფროლოვი, გ. გაგუა, ა. კიკნაძე და სხვები. ისიც მახსოვს, როგორ გამაფრთხილა თამაშის წინ ჩვენმა კაპიტანმა შ. შავგულიძემ: ცოტა ხმამაღლა და გაბედულად გაგვაფრთხილე ხოლმე საჭიროების დროსო. აქვე მინდა დავძინო, რომ შეიძლება მეკარე არც იყოს მაღალი ტანისა, მაგრამ მშვენივრად შეასრულოს თავისი მოვალეობა. მაგალითად, ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ძლიერ გუნდს ჰყავდა ტანდაბალი მეკარე ი. კასრაძე, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი მისთვის, ყოფილიყო თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ ითვლებოდა ომამდე ა. დოროხოვი. განა მარტო თავისი შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების წყალობით მიაღწია მან ასეთ წარმატებას. გარდა იმ სპეციალური ვარჯიშებისა, რომლებსაც უშუალოდ მწვრთნელის ხელმძღვანელობით ასრულებდა, დოროხოვი ყოველდღე 1-1,5-საათიან წვრთნას აწარმოებდა მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, აკრობატიკაში, დიდ ყურადღებას აქცევდა საერთო ფიზმომზადებას. დოროხოვი თავისუფლად ხტებოდა 170-175 სმ. სიმაღლეზე. სიგრძეზე ხტებოდა 6 მეტრზე შორს, შეეძლო რთული აკრობატული ილეთების შესრულება.

ახლაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებენ ძველი ფეხბურთელები თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილ მეკარეს ნ. სოლონინს. მშვიდი, წყნარი და კეთილშობილი ადამიანი, იგი ნამდვილი ხელმძღვანელი იყო თამაშის დროს. ყოველი მისი სიტყვა სასარგებლო და საქმიანი იყო მოთამაშეებისათვის.

რას ვხედავთ ახლა, როცა თბილისის გუნდების მეკარეების თამაშს ვუყურებთ. თითქოს ცუდი მონაცემები არ უნდა ჰქონდეთ ამ ახალგაზრდა სპორტსმენებს, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ მათ აკლიათ საერთო ფიზიკური მომზადება. ნუთუ რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების მეკარეებს არ უნდა შესწევდეთ უნარი აჩვენონ თუნდაც მეორე თანრიგის შედეგები მძლეოსნობაში, ან ვერ შეასრულონ აკრობატული ილეთები?

როგორც ზევით ვთქვით, მეკარე უნდა დირიჟორობდეს თავისი დაცვის მოთამაშეთა მოქმედებას, დროულად აძლევდეს განკარგულებებს, ჩვენი მეკარეები კი ან სრულიადაც არ იძლევიან ძახილს, ან თუ იძლევიან უდროოდ, მოგვიანებით. კარგად მახსოვს თბილისის „დინამოს“ ძველი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ბუტუსოვის სიტყვები: „თუ დაიძახე,—არის, მოკვდი და აიღე ბურთი, ნუ მოერიდები შენს მცველსაც კი თუ მან ამ დროს გზა არ დაგითმო“.

მეკარისა და მცველების ურთიერთმოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თამაშში წარმატების მისაღწევად და ეს შეხმატკბილება მიღწეულ უნდა იქნას სისტემატური წვრთნით, ერთმანეთის ხასიათის შესწავლით. არა მარტო სპეციალისტები, რიგითი მაყურებლებიც დამეთანხმებიან იმაში, რომ თბილისის გუნდების მეკარეები სუსტად თამაშობენ, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ წესიერი წვრთნით, საკუთარ თავზე დაუღალავი მუშაობით მათ შეეძლებათ გამოასწორონ ნაკლოვანებანი.

**რ. კავსაძე,**
**თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მეკარე.**

## პროფკავშირების სპარტაკიადაზე

მასობრივი ფეხბურთის განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებს. ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში და ა. შ. შექმნილია ფეხბურთის სექციები, სადაც ასეული ათასობით ახალგაზრდა მეცადინეობს.

მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონი აღსავსეა დიდი მასშტაბის შეჯიბრებებით: საკავშირო პირველობა „ა“ და „ბ“ კლასებში, სსრ კავშირის თასი როგორც ოსტატთა, ისე ძირეული კოლექტივებისათვის, მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება, საერთაშორისო მატჩები, მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში და ა. შ. ყველა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა გუნდები და ფეხბურთელები. პროფკავშირების საფეხბურთო კოლექტივების ამოცანაა დაიკავონ წამყვანი ადგილები ყველა ღონისძიებაში.

წელს ჩატარდება პროფკავშირთა VI საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სხვა სახეობებთან ერთად ფეხბურთიცაა. ამასთან დაკავშირებით სათანადო მზადება წარმოებს ადგილებზე. შეჯიბრებები ფეხბურთში ჩატარდება რაიონებში, ქალაქებში, რესპუბლიკებში. გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ შემდგომ ეტაპებში.

პროფკავშირთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში დაიშვებიან რესპუბლიკების, ქ. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები.

დებულების თანახმად 17 გამარჯვებული გუნდი დაყოფილია 4 ზონად. ტალინში ითამაშებენ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და ლენინგრადის გუნდები, ერევანში — უკრაინის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები, სარატოვში — მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და მოლდავეთის გუნდები, ხოლო ჩიმკენტში—ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის გუნდები. ზონებში პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები ფინალურ ტურნირს გაითამაშებენ მოსკოვში ერთ წრედ.

საქართველოს პროფკავშირული გუნდები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო შეჯიბრებებში. მათ წინაშე დგას სერიოზული ამოცანა, რათა შენარჩუნებულ იქნას ეს მიღწევები.

**ს. ილინი,**
**პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს მთავარი ინსტრუქტორი ფეხბურთში.**

## ვეტერანი, ენთუზიასტი

ამ დღეებში დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა საბჭოთა სპორტის ერთ-ერთ ვეტერანს, წარსულში მრავალმხრივ სპორტსმენსა და საზოგადოებრივ მოღვაწეს, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ბიაზის.

ნ. ბიაზი 1912 წლიდან საფეხბურთო ლიგის ოფიციალური მსაჯია და მას შემდეგ ათეული წლების მანძილზე უმწიკვლოდ ემსახურებოდა სპორტს ამ სახეობის შეჯიბრებებს. შემდგომში მან მიიღო საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება.

ნ. ბიაზის სპორტული მოღვაწეობა თბილისში დაიწყო ჯერ კიდევ 1921 წელს. იგი ენერგიულ მუშაობას ეწეოდა სამხედრო მსახურთა შორის, აქტიურად მონაწილეობდა ყველა საქალაქო სპორტულ ღონისძიებებში, სპორტის სხვადასხვა სახეობათა დანერგვასა და პოპულარიზაციაში (ფეხბურთი, კრივი, ხელბურთი, სროლა, მძლეოსნობა და სხვ.). გარდა თბილისისა ნ. ბიაზი მუშაობდა საქართველოს რაიონებშიც.

სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების მონაწილე ნ. ბიაზი დაჯილდოებულია მთავრობის 14 ჯილდოთი, მათ შორის ლენინის ორდენითა და საბრძოლო წითელი დროშის 4 ორდენით.

სპორტულ დარგში მოღვაწეობისათვის ნ. ბიაზი დაჯილდოებულია საკავშირო კატეგორიის მსაჯის საპატიო ნიშნით 25 წლის მსაჯობისათვის, „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ ნიშნით, „ბურევესტნიკის“ საპატიო წევრის ნიშნით, მრავალი დიპლომითა და სიგელით.

ნ. ბიაზი ამჟამად ცხოვრობს ესენტუკში და ახლაც, მიუხედავად ხანდაზმული წლებისა, დაუღალავად ღებულობს მონაწილეობას ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სათანადოდ აღნიშნა ნ. ბიაზის დიდი ღვაწლი თბილისში სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის განვითარების საქმეში, გაუგზავნა მას მისალოცი დეპეშა, დააჯილდოვა პირველი ხარისხის დიპლომით და შუამდგომლობა აღძრა დაჯილდოებულ იქნას ნ. ბიაზი სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავის ნიშნით.

## ასე თამაშობდნენ სურამელები

საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდებს შორის არც პირველ, არც მეორე ჯგუფში არ ჩანან სურამელი ფეხბურთელები. დღეს სურამში სუსტად თამაშობენ ფეხბურთს, მაგრამ იყო დრო, როცა აქ ეს თამაში ძლიერ უყვარდათ და საკმაოდ კარგი გუნდიც ჰყავდათ.

პირველი გუნდი სურამში ჩამოუყალიბებიათ 1911 წელს, მისი ორგანიზატორები ყოფილან ადგილობრივი ახალგაზრდები მ. ვარსიმაშვილი და გ. ჩხიკვაძე. მაშინ აქ თამაშობდნენ მეკარე გ. ჩხიკვაძე, მცველები მ. ჯოჯუა, ა. ლოტოევი, ნახევარმცველები გ. ქსენოფონტოვი, ხ. არუწოვი, მ. დიდებულიძე. თავდამსხმელები ვ. ბერიძე, მ. ვარსიმაშვილი, ვ. სკლიაროვი, ვ. ჯკერდწითელი, დ. კილაძონიძე და სხვ. ახლადშექმნილი გუნდის წვრთნა მიმდინარეობდა ზინდისის მიდამოებში, მუხნარის მინდორზე.

1912 წლის გაზაფხულიდან სურამის ფეხბურთელებმა დაიწყეს შეხვედრები საქართველოს სხვა გუნდებთან. მაგალითად, მათ ფრედ ითამაშეს ფოთელებთან, მცირე განსხვავებით წააგეს თბილისის მე-2 გიმნაზიის გუნდთან.

რა თქმა უნდა, სურამში მაშინ არ იყო საფეხბურთო სტადიონი. ფეხბურთელები თვითონ ხაზავდნენ და უვლიდნენ მინდორს, თვითონ იძენდნენ ფორმას, ხოლო ბურთებს კერავდნენ „მეცენატი“ ხელოსნები.

საინტერესოა ერთი კურიოზული ფაქტი. სურამელებს მატჩი ჰქონდათ ჩასატარებელი ბორჯომში. სამგზავრო ფულის უქონლობის გამო ისინი ფეხით გავიდნენ ღამის 12 საათზე. ფეხბურთელებს ქვიშხეთში წამოეწიათ მატარებელი და გუნდი „სამოწყალოდ“ მიიყვანეს ახალდაბამდე. აქედან მგზავრობა კვლავ ფეხით გაგრძელდა და სურამელები დილის 8 საათზე ავიდნენ ბორჯომში. იმავე საღამოს შედგა თამაში ბორჯომის მოაგარაკეთა და სურამის გუნდს შორის, რომელიც მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 2 : 0. იმავე, 1912 წელს სურამის გუნდი შეხვედრია თბილისის, ბორჯომისა და წაღვერის ფეხბურთელებს.

1914 წელს სურამელებმა ითამაშეს ბორჯომისა და წაღვერის გუნდებთან, მაგრამ მალე დაიწყო მსოფლიო ომი, ახალგაზრდები გაიწვიეს ჯარში და ფეხბურთი კარგა ხნით ჩაქვდა სურამში.

1918 წელს სურამში დაარსდა სპორტსაზოგადოება „ამირანი“, რომლის გუნდი შემდგომ წელს თბილისში შეხვდა „შევარდენს“ (მატჩი შედგა იუნკერთა სასწავლებლის ეზოში). მიუხედავად იმისა, რომ სურამელებმა წააგეს ანგარიშით 1 : 3, მათ საკმაოდ კარგი თამაში აჩვენეს. განსაკუთრებით ისახელა თავი მეკარე გ. ჩხიკვაძემ.

მომდევნო წელში სურამის გუნდი სათამაშოდ იყო ბაქოში, ქუთაისში, გორში. აგრეთვე თავის მინდორზე ღებულობდა სტუმრებს. ერთი სიტყვით, სურამში საფეხბურთო ცხოვრება სრული ძალით ჩქეფდა.

ეს მივიწყებული მდიდარი ტრადიციები სურამელებმა საჭიროა განაახლონ. უნდა დამთავრდეს სტადიონის კეთილმოწყობა, შერჩეულ იქნან ფეხბურთელები, დაკომპლექტდეს გუნდი.

სურამის გუნდი უნდა გამოჩნდეს საქართველოს პირველობაზე.

**ა. დავთიანი**

## ფეხბურთში საქართველოს პირველობის მესამე ჯგუფის გუნდების შეხვედრების კალენდარი 27 აპრილისათვის

**I ზონა**

„შირაქი“ (წითელწყარო)-„არაგვი“ (მცხეთა); კასპი (ნაკრები)-კაჭრეთი (ნაკრები); სიღნაღი (ნაკრები)„კოლმეურნე“ (გარდაბანი); „ველისციხე“ (გურჯაანი)-„ჩანჩქერი“ (ლაგოდეხი); „შრომითი რეზერვები“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (გურჯაანი); „განთიადი (ახმეტა)-„კოლმეურნე“ (ქისტაური).

**II ზონა.** „არაგვი“ (დუშეთი)-ახალქალაქი (ნაკრები); „კოლმეურნე“ (დმანისი)-მარნეული (ნაკრები); „მოტორი“ (ახალციხე)-მტს-ი (ადიგენი); „კოლმეურნე“ (ადიგენი)-ბოგდანოვკა (ნაკრები), „კოლმეურნე“ (წალკა)-ასპინძა (ნაკრები). თეთრი წყარო (ნაკრები) — თავისუფალია.

**III ზონა**

„შემოქმედი“ (მახარაძე)-ლაითური (მახარაძე); „კოლმეურნე“ (ხობი)-„კოლმეურნე“ (ჩ ხ ო რ ო წ ყ უ); ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა-სსტ (ზუგდიდი); „კოლმეურნე“ (წალენჯიხა)-„ცისკარი“ (აბაშა); „ვოდნიკი“ (ფოთი)-„კოლხიდა“ (ფოთი); „კოლმეურნე“ (ცხაკაია)-„თაიგული“ (ლანჩხუთი);

**IV ზონა**

„მშენებელი“ (ჭიათურა)-„განთიადი“ (ლაჯანურჰესი); „ხვანჭკარა“ (ამბროლაური)-სტალინის სახ. შახტი (ტყიბული); „კოლმეურნე“ (ზუგდიდი)-„ხვამლი“ (ცაგერი); „მამისონი“ (ონი)„ციცქა“ (თერჯოლა); „სპარტაკი“ (მახარაძე)-„აბჰესი“ (გეგეჭკორი); „სპარტაკი“ (ვანი)-„გაზაფხული“ (ზესტაფონი); „შრომა“ (დიდი ჯიხაიში)-„კოლმეურნე“ (მაიაკოვსკი).

ლელო
მე-2 გვ. № 48 (1218)

# ფეხბურთი

**საკავშირო პირველობა „ა" კლასის გუნდებისათვის**

## მეხუთე მატჩი

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 20 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) — 1:1 (1:1).

„დინამო": კოტრიკაძე; ჩოხელი, ხიჯინავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ღოლობერიძე; ხასაია (გაგნიძე), ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

„ზენიტი": ლაზუნოვი; მეშჩერიაკოვი, შიშკოვი, გეკი; დერგაჩოვი, ზავიდონოვი; ცარიცინი, ბატანოვი, ხრაპოვიცკი, ი. მოროზოვი (ო. მოროზოვი), ივანოვი.

მსაჯი კ. დემჩენკო.

„დინამოს" დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა უპირატესობა და ლენინგრადელები იძულებული იყვნენ დაცვაში ეთამაშათ, მაგრამ მასპინძელთა იერიშები მალე ჩაქრა და „ზენიტს" საშუალება მიეცა გაეთანაბრებინა თამაში. იერიშის დროს დინამოელები, რატომღაც, ყველა ბურთს აგზავნიდნენ მარჯვენა ფლანგზე ხასაიასაკენ. სწორედ ამის წყალობით მინდვრის შუაგულში მოპოვებული უპირატესობა და კარგად დაწყებული იერიში სისტემატურად იშლებოდა და იგივე შეტევა თავიდან დასაწყები ხდებოდა. სულ რამდენიმეჯერ აქნა ბურთი მიწოდებული მესხისაკენ და ყოველი მისი დრიბლინგის შემდეგ ლენინგრადელთა კარი აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. საჭირო იყო თამაშის გადატანა მარცხენა მხარეს, რაც თბილისელებმა არ გააკეთეს.

სულ სხვაგვარად თამაშობდნენ ზენიტელები, რომლებიც ყოველგვარ პირობას უქმნიდნენ თავიანთ ყველაზე აგრესიულ და შედეგიან თავდამსხმელს, მარცხენა გარემარბს ა. ივანოვს. სწორედ ივანოვმა გამოიყენა „დინამოს" მცველთა შეცდომა, გადაინაცვლა ცენტრში და შორი მანძილიდან ზემო კუთხეში ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი — 1:0.

ორი წუთის შემდეგ მელაშვილი გავიდა ორ მცველს შორის, „ცხრიანში" გაგზავნა ბურთი და ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1, მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ იგივე ივანოვის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ძელს და თბილისელთა კარი გადარჩა გოლს.

მეორე ტაიმში ხასაიას ნაცვლად მინდორზე გამოვიდა გაგნიძე, რომელიც თავის წინამორბედზე გაცილებით უკეთესად თამაშობდა და მიუხედავად იმისა, რომ ბურთები უწინდებურად მხოლოდ მარჯვენა ფრთაზე იგზავნებოდა, შეტევას მეტი ეფექტი და შედეგი ჰქონდა. უფრო აქტიური გახდა ბარქაია, რომელმაც მეტი მხარდაჭერა ჰპოვა მარჯვენა მხრიდან. აქედან იქნა მოწოდებული რამდენიმე ბურთი კარის წინ და „ზენიტის" მცველებსა და მეკარეს ზოგჯერ ზედ კარის ხაზიდან გამოჰქონდათ ბურთები. იყო მომენტები, როცა გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ დინამოელები ან აგვიანებდნენ ან არაზუსტადურტყამდნენ და ლენინგრადელთა კარი უვნებელი რჩებოდა.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

თქმა არ უნდა, რომ თბილისის „დინამომ" პირველი ხუთი მატჩი სუსტად ჩაატარა. მაგრამ ამ წარუმატებლობის გამო ფარხმალი არ უნდა დავყაროთ. ახლა საჭიროა მთელი ძალების მობილიზება და კოლექტიური, შეთანხმებული მუშაობა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. გუნდი ძირითადში ახალგაზრდულია. მას სჭირდება გამხნევება, მხარდაჭერა, ახალი ძალებით შევსება, გამაგრება, რათა შენარჩუნებულ იქნას ქართული ფეხბურთის მდიდარი ტრადიცია. ამ საპასუხისმგებლო საქმეში გუნდს უნდა დაეხმარონ თვითეული ფეხბურთის მოყვარული და პირველ რიგში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები.

**რ. ქორიძე**

* * *



**სურათზე:** მატჩის საინტერესო მომენტი. „ზენიტის" მეკარე მიწაზე იყო დაცემული, როცა იამანიძემ დაარტყა კარში. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ლაზუნოვმა მოასწრო და კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ფოტომ. ზარგარიანისა.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აპრილისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 6 | 3 | 3 | 0 | 11:6 | 9 |
| „ლოკომოტივი" | 6 | 2 | 4 | 0 | 7:3 | 8 |
| „დინამო" კ. | 6 | 2 | 4 | 0 | 13:7 | 8 |
| „დინამო" მ. | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 7 |
| ცსკ მო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 7 |
| „ტორპედო" | 5 | 2 | 3 | 0 | 14:7 | 7 |
| „ზენიტი" | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 5 |
| „შახტიორი" | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 5 |
| „კრ. სოვეტოვი" | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | 3 |
| „დინამო" თბ. | 5 | 1 | 1 | 3 | 6:18 | 3 |
| „მოლდოვა" | 5 | 0 | 2 | 3 | 3:11 | 2 |
| „ადმირალტეეცი" | 5 | 0 | 0 | 5 | 5:17 | 0 |

* * *

**კიევი. 19 აპრილი.** აქ შედგა ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ ცსკ მო-„ადმირალტეეცი" (ლენინგრადი).

არმიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

* * *

**კიევი. 20 აპრილი.** ადგილობრივი „დინამო" შეხვდა გასული წლის ჩემპიონს — მოსკოვის „დინამოს".

მატჩი მოიგეს კიეველებმა — 2:0.

* * *

**კიშინიოვი. 20 აპრილი.** აქ თამაშობდნენ კიშინიოვის „მოლდოვა" და მოსკოვის „ლოკომოტივი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

**კუიბიშევი. 21 აპრილი.** ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა" მიიღო მოსკოვის „სპარტაკი".

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „სპარტაკმა".

---

**სტალინგრადი. 19 აპრილი. (ტელეგრაფით).** აქ შედგა მატჩი ფეხბურთში „ბ" კლასის მეოთხე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგი" და ქუთაისის „ლოკომოტივი".

თამაში მოიგო ქუთაისის „ლოკომოტივმა" ანგარიშით 2:0.

* * *

**ასტრახანი. 20 აპრილი. (ტელეგრაფით).** ასტრახანის „ტრუდმა" თავის მინდორზე მიიღო თბილისის არმიელ ფეხბურთელთა გუნდი.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 1:0.

## მოიპოვეს „ა" კლასში თამაშის უფლება

ტალინში გრძელდება „ბ" კლასის ფრენბურთელთა საკავშირო პირველობა, სადაც განსაკუთრებული სპორტული დაძაბულობით ხასიათდება პირველი ფინალური ჯგუფის გუნდების შეხვედრები. გათამაშების მესამე დღეს ძალზე საინტერესო იყო კუიბიშევის სკვო-სა და ბაქოს „ბურევესტნიკის" ფრენბურთელთა თამაში. არმიელთა გამუდმებულ იერიშებს ბაქოელებმა ოსტატური დაცვა დაუპირისპირეს, ხოლო ბუსალაევი, მაკაგონოვი და განსაკუთრებით აგაევი ძლიერი დარტყმებით ბევრ უსიამოვნებას აყენებდნენ კუიბიშეველთა გუნდს. შეხვედრა დამთავრდა „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ ანგარიშით 3:0.

მოსკოვის „ლოკომოტივისა" და ტალინის „კალევის" გუნდების მატჩის გადამწყვეტ მეხუთე პარტიაში წინ იყვნენ მოსკოველები — 6:2, მაგრამ მათ შემდეგ ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხდნენ — 11:15.

თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდი შეხვდა მოსკოვის მვტუ-ს და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:0. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფრენბურთელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად ირკუტსკის „სპარტაკთან" — 3:0. ქალთა გუნდების პირველ ფინალურ ჯგუფში ლიდერობენ თბილისის „ბურევესტნიკი" და ტარტუს „კალევი", რომლებიც უკანასკნელ დღეს ხვდებიან ერთმანეთს. ამ მატჩის შედეგის მიუხედავად ორივე გუნდმა გაინაღდა „ა" კლასში თამაშის უფლება.

ვაჟთა გუნდებიდან გამარჯვებულებს გამოავლენს კიევის „ბურევესტნიკის", კუიბიშევის სკვო-ს, ბაქოს „ბურევესტნიკის", მოსკოვის „ლოკომოტივის" შეხვედრები.

**ლ. ფალავანდიშვილი.**
**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

## სწრაფვა სუფთა გამარჯვებისაკენ

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში მეორე და მესამე თანრიგოსანთა შორის. გამარჯვებისათვის იბრძოდა განათლების განყოფილების, „დინამოს", „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების", „ბურევესტნიკის", „კოლმეურნისა" და სხვა კოლექტივების 200-მდე სპორტსმენი.

მეორეთანრიგოსანთა შორის წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ: ნ. ხოხაშვილი (განათლების განყოფილება), გ. დავლიანიძე („ბურევესტნიკი"), ე. აჯიაშვილი, დ. სურმავა, (ორივე განათლების განყოფილებიდან), ტ. დოლონაძე („დინამო"), ლ. მკრტიჩიანი (განათლების განყოფილება), კ. ყვავაძე („ბურევესტნიკი"), ა. გლიანცევი („დინამო").

მესამე თანრიგში პირველი ადგილები მოიპოვეს: ზ. თევზაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ლ. პიტინაშვილი (განათლების განყოფილება), გ. ჯავახოვი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), შ. თურქია, რ. ყამარაული (ორივე „შრ. რეზერვები"), მ. ანდღულაძე (განათლების განყოფილება), ნ. ერემიაშვილი („სპარტაკი") და შ. დრიაშვილი (განათლების განყოფილება).

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ თბილისში იზრდებიან საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეები. მონაწილეთა უმეტესობა კარგად ფლობს სპორტის ამ სახეობის ილეთებს. სწორედ ამან განაპირობა, რომ მეორეთანრიგოსანთა 117 შეხვედრიდან 63 სუფთა გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო მესამეთანრიგოსნებში 131 შეხვედრიდან — 90.

**ი. ჩხარტიშვილი.**
**სპორტის ოსტატი.**

## დიდი მატჩი

### ანგარიშია 11:7

19 აპრილს, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა XVIII პარტია, რომელშიც თეთრებით ბოტვინიკი თამაშობდა. იმის გამო, რომ კლუბის ოთახები ვერ იტევდა ყველა მაყურებელს, ჟურნალისტების სახლში მიმდინარეობდა პარტიის დემონსტრაცია.

ბრძოლა დაიწყო ინგლისური დაცვით, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი ორთაბრძოლაში. მეტოქეები ყოველ პარტიაში თამაშის ახალ-ახალ გეგმას ახორციელებენ. ასე მოხდა ამ შეხვედრაშიც. ბოტვინიკმა მე-7 სვლაზე ახალ გაგრძელებას მიმართა. სმისლოვმა კუს მანევრებით გამოიწვია თეთრების ცენტრში სუსტი პაიკის არსებობა. მე-17 სვლაზე ექს-ჩემპიონმა დაუცველად დატოვა დასუსტებული პაიკი და მძლავრი იერიში მიიტანა სმისლოვის მეფეზე.

ახლო იყო ბოტვინიკის გამარჯვება. მხედრის შეწირვით მას შეეძლო შავი მეფის პოზიციის დამსხვრევა, მაგრამ მან ეს ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ უკვე სმისლოვს შეეძლო ესარგებლა ბოტვინიკის წაბორძიკებით და საშამათოდ დაელაშქრა მისი მეფე. მაგრამ ისიც შეცდა. ჩანს გროსმაისტერები დაღალა უკიდურესობამდე დამუხტულმა სპორტულმა და შემოქმედებითმა ჭიდილმა.

შემდგომ გაიცვალა ფიგურები და ბოტვინიკის ეტლი უფრო აქტიური აღმოჩნდა. ამიტომ, ექს-ჩემპიონი მუდმივი ქიშით თანხმობას აცხადებდა ყაიმზე, სმისლოვმა არ მოისურვა მშვიდობიანი დასასრული და უკან დაუბრუნა ბოტვინიკს ზედმეტი პაიკი.

პარტია გადაიდო. სმისლოვს ეტლებისა და კუთა დაბოლოებაში ლაზიერის ფრთაზე სამი პაიკი ჰქონდა ერთის წინააღმდეგ. ეს საკმაოდ სერიოზული უპირატესობა იყო.

20 აპრილს მოხდა ამ პარტიის დამთავრება. საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ბოტვინიკმა მონახა გზა გარდატეხისაკენ და პარტიაც თავისი გამარჯვებით დაასრულა.

ანგარიში გახდა 11:7 ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ.

## თბილისელი წყალბურთელები — მე-4 ადგილზე

ბოლოსწინა შეხვედრა თბილისის „დინამოს" წყალბურთელებმა ჩაატარეს მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის („ტორპედო") გუნდთან. ანგარიში პირველ წუთზე გახსნეს მოსკოველებმა. მაგრამ სულ მალე დინამოელმა გვახარიამ გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1. პირველი ტაიმი დამთავრდა 3:2 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში მოსკოველები ახერხებენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ გვახარიას ზუსტ დარტყმას წინ კვლავ გაყავს „დინამო" — 4:3. შეხვედრის დამთავრებამდე ანგარიში არ შეცვლილა. ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდმა — „ბურევესტნიკმა" წააგო მატჩი ლენინგრადის „ვოდნიკთან"—2:9, ხოლო უკანასკნელ დღეს — მოსკოვის „დინამოსთან" — 0:10.

ბოლო შეხვედრა თბილისის „დინამოს" ჰქონდა კიევის „ბურევესტნიკთან" და მოიგო იგი ანგარიშით 4:1. ბურთები გაიტანეს გვახარიამ (2), ავანესიანმა (1) და ჩხიკვაძემ (1).

პირველი წრის შეხვედრები დამთავრდა. პირველ ადგილზეა მოსკოვის „დინამო", შემდეგ არიან ცსკმო (მოსკოვი), სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოსკოვი) და თბილისის „დინამო".

**გ. გვაზავა,**
**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**



ქუთაისში მოეწყო მასობრივი მძლეოსნური კროსის ფინალი, რომელშიც მონაწილეობდა 200-ზე მეტი სპორტსმენი. ქალები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 500 და 1000 მეტრზე, ხოლო ვაჟები 1000 და 5000 მეტრზე რბენაში.

სურათზე: 5000 მეტრზე რბენის მონაწილენი დისტანციაზე.

## სპორტულ საზოგადოებებში

### „განთიადი“

ამ დღეებში ბათუმში გაიმართა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველი შეჯიბრება საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას მომავალ რესპუბლიკურ გათამაშებაში მონაწილეობისათვის. შეჯიბრებაზე სრული გუნდები წარმოადგინეს მხოლოდ მცხეთისა და ბათუმის საბჭოებმა. სოხუმმა 29 სპორტსმენის ნაცვლად მოავლინა მხოლოდ 9 მონაწილე, ხოლო ფოთიდან არც ერთი სპორტსმენი არ ჩამოსულა.

შეჯიბრებაში 500 მეტრზე ერთმოსასმელიანი ბაიდარებით ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მცხეთელმა ნასყიდაშვილმა, ხოლო ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ბათუმელი ვოლკოვი. ორმოსასმელიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, ფინიშთან პირველები იყვნენ მცხეთელი ნიჩბოსნები. 1000 მეტრზე ერთმოსასმელიანი ბაიდარით ქალებში უძლიერესის სახელი მოიპოვა ნერსესიანმა (ბათუმი), ორმოსასმელიანით — ს. ბერიკაშვილმა და ი. ვარანენკომ (მცხეთა). ბათუმელი სპორტსმენის მალხაზოვის გამარჯვებით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება ამავე დისტანციაზე ერთმოსასმელიანი ბაიდარებით. ორმოსასმელიან ნავებზე პირველობდნენ ისევ მცხეთელი სპორტსმენები თ. როსტიაშვილი და მ. ბუზიაშვილი.

ერთმოსასმელიანი კანოეთი გაიმარჯვა ბათუმელმა ჩილინგარიდიმ, ხოლო ორმოსასმელიანი კანოეთი შეჯიბრებაში პირველები იყვნენ ა. ბერიძე და ს. სამხარაძე (მცხეთა).

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება არაორგანიზებულად ჩატარდა. მაგალითად, შეჯიბრების პირველ დღეს ზღვის ღელვის გამო მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა პირველობა ჩაეტარებინა პიონერთა პარკში, მაგრამ პარკის დირექციის ჯიუტობის გამო იგი საკმაო დაგვიანებით დაიწყო. საკმაო რაოდენობის ინვენტარის უქონლობის გამო არაორგანიზებულად ჩატარდა ოთხმოსასმელიანი ბაიდარებით შეჯიბრება როგორც 1.000, ისე 10.000 მეტრზე. მოუწყობელი იყო ბილიკები და სხვ.

გ. მამულოვი,
პირველი კატეგორიის მსაჯი.

• • •

დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო პირველობის პირველი ტური მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 50 გუნდი. ასეთი მასობრივი შეჯიბრება ამ სახეობაში თბილისში დღემდე არ ჩატარებულა. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ 4 ჯგუფად: პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს 26 კომ. სახ. რაიონის წარმომადგენლებმა, მეორე ჯგუფში ყველას აჯობა ცხიმკომბინატის კოლექტივმა, მესამეში უძლიერესნი აღმოჩნდნენ „ჰიდროენერგოპროექტის“, ხოლო მეოთხეში — სახ. ოპერის სპორტსმენები.

ჯგუფებში გამარჯვებულთა შორის ჩატარდა ფინალური ტურნირი. აქ უძლიერესები აღმოჩნდნენ 26 კომისრის სახ. რაიონის მაგიდის ჩოგბურთელები, რომლებმაც მოიპოვეს პირველი ადგილი. მეორე ტური გაიმართება მიმდინარე წლის სექტემბერში, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს ჯგუფების მიხედვით ორი ტურის ჯამში.

ბ. კოვალიოვი,
პირველი კატეგორიის მსაჯი.

### „კოლმეურნე“

ჩატარდა შეჯიბრება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში „კოლმეურნეს“ 1958 წლის რაიონულ პირველობაზე. მასში მონაწილეობდნენ წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის, მაჩხაანის ზოოტექნიკუმის, წნორის სოფლის კოოპერატივის, სიღნაღის რაიკოოპკავშირის, ბოდბის, ჯუგაანისა და ტიბაანის კოლმეურნეობათა გუნდები.

კლასიკურ ჭიდობაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა მაჩხაანის ტექნიკუმის გუნდმა, ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში — ჯუგაანის საკოლმეურნეო გუნდმა.

ნ. მღებრიევა

## ბორჯომი და ბაკურიანი მოელის ტურისტებს

ბორჯომის ტურისტულ ბაზაში დამთავრდა ინსტრუქტორთა სემინარები, რომელიც საქართველოს ტურისტულმა სამმართველომ მოაწყო. მსმენელთათვის ჩატარებულ იქნა ლექციები საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და სხვა სპეციალურ საკითხებზე ტურისტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. სემინარის დასასრულს მსმენელებმა გაიარეს ტურისტული მარშრუტი და შეამზადეს იგი ტურისტების კარგი მომსახურებისათვის. ასეთი წინასწარი მუშაობის შედეგად ბორჯომის, ბაკურიანისა და ვარძიის ტურისტული ბაზები მზად არიან ტურისტთა მისაღებად.

1 ივნისს ბორჯომის ბაზა მიიღებს მოლაშქრეთა პირველ ჯგუფს. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ტურისტები გაეცნობიან ბორჯომს, მონაწილეობას მიიღებენ 2-დღიან ლაშქრობაში ბორჯომის ირგვლივ, ხოლო მესამე დღეს ანდეზიტის, ციხისჯვრის აბანოებისა და ცხრა წყაროს გავლით ფეხით გაემგზავრებიან ბაკურიანში. აქ ტურისტები ორ დღეს დაჰყოფენ და დაათვალიერებენ დაბას, მესამე დღეს კი მანქანით გაემგზავრებიან ვარძიაში, სადაც სამი დღის განმავლობაში გაეცნობიან საქართველოს უძველესი კულტურის ისტორიულ ძეგლებს. მეოთხე დღეს ვარძიიდან ტურისტები ავტომანქანით გაემგზავრებიან ზეკარის უღელტეხილისაკენ. ამ მარშრუტზე ტურისტები დაათვალიერებენ ახალციხეს, კურორტ აბასთუმანს და აბასთუმნის ობსერვატორიას, ღამეს გაატარებენ ზეკარის უღელტეხილთან სალაშქრო კარვებში, ხოლო მეორე დილით ფეხით გადავლენ უღელტეხილზე, ჩავლენ კურორტ საირმეში. აქედან ტურისტები ავტომანქანით გაემგზავრებიან ქალაქ ქუთაისში, გზად ისინი დაათვალიერებენ ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს.

14 დღეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გაცნობასთან ერთად მოლაშქრენი ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით შეისწავლიან ტურისტული ლაშქრობის ელემენტებს, როგორიცაა ლაშქრობის ორგანიზაცია, სალაშქრო ბანაკის მოწყობა, ტოპოგრაფიის გამოყენება, მთის სხვადასხვა რელიეფზე სიარულის ტექნიკა და სხვ.

ლაშქრობის დასასრულს, ქუთაისში მონაწილეებს გადაეცემათ სამკერდე ნიშანი „სსრკ ტურისტი“.

ქუთაისიდან ტურისტები მატარებლით გაემგზავრებიან კურორტ პიცუნდაში, სადაც შავი ზღვის სანაპიროზე დაჰყოფენ 6 დღეს.

წელს ბორჯომსა და ბაკურიანს დაემატა ახალი ტურისტული მარშრუტი № 64 (ბორჯომი-ბაკურიანი). 20 დღის განმავლობაში ტურისტები დაათვალიერებენ ბორჯომისა და ბაკურიანის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მიიღებენ მონაწილეობას ტურისტულ ლაშქრობებში. ტაბაწყურზე მათთვის მოეწყობა საავტომობილო ექსკურსია სურამში, ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად და სხვა. მარშრუტ № 64 ტურისტებიც, ისევე როგორც № 8[illegible] მარშრუტის [illegible] მომზადების [illegible] რდე ნიშნებს „სსრკ ტურისტი“.

ბორჯომის ტურისტთა ბაზა დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების დამსვენებელთათვის მოაწყობს საავტომობილო ექსკურსიებს კურორტ ბორჯომში, ტიმოთეს უბანში, ბაკურიანში, ვარძიაში, სურამში, გორში, თბილისში და ა. შ.

ვ. შიოშვილი

## სპორტული ქრონიკა

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის მოჭადრაკეებმა ჩაატარეს ტურნირი, რომელშიც 15 მოჭადრაკე მონაწილეობდა, პირველი ადგილი 13 ქულით დაიკავა მეორეთანრიგოსანმა მეზურნოვმა. მეორე ადგილი წილად ხვდა ძველაიას (11 ქულა), მესამე — ჯავახიშვილს (9,5 ქულა). ენერგეტიკოსებმა თავიანთი პირველობა მიუძღვნეს თბილისის 1500 წლისთავს.

გ. ზოზიაშვილი

* * *

ათი უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშნის საშუალო სკოლის საჭადრაკო ჩემპიონატში. ჩემპიონის სახელი დაიმკვიდრა მეთერთმეტეკლასელმა გ. გოგინაშვილმა.

ი. ოდიშელიძე

* * *

ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლაში საინტერესოდ მიმდინარეობდა პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 25 მოსწავლე.

ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ნ. ჭეიშვილი, მეორე ადგილი დაიკავა გ. ჭეიშვილმა, ხოლო მესამე — ს. ფესტვენიძემ.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მე-7 კლასის მოსწავლეები.

კ. კაკაბაძე,
შეჯიბრების მსაჯი.

* * *

სამტრედიის მოჭადრაკეთა საქალაქო პირველობაში იბრძოდა 32 სპორტსმენი. შეჯიბრების მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველში თამაშობდნენ წარმოება-დაწესებულებებისა და სპორტული საზოგადოებების მოჭადრაკეები, ხოლო მეორეში — მოსწავლეები.

პირველ ჯგუფში ჩემპიონის სახელი მოიპოვა ელექტროქსელის ელექტროტექნიკოსმა შ. ტაბიძემ, რომელმაც 10,5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეა სამტრედიის მე-2 სკოლის მასწავლებელი რ. ქორქოლიანი (9,5 ქულა), მესამეზე — არტელ „პირველი მაისის“ წარმომადგენელი ი. ბარბალატი.

მოსწავლეთა შორის პირველი იყო 1-ლი საშ. სკოლის მოსწავლე თ. ლოლომაძე (14 ქულა), მეორე ადგილი დაიკავა ამავე სკოლის მოსწავლემ ა. მაჩიტაძემ (12,5 ქულა), მესამე — რკინიგზის 24-ე სკოლის მოსწავლემ თ. ნიკოლეიშვილმა (12 ქულა).

ჯ. ვაშაკიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## სხვადასხვა

### უნიკალური შემთხვევა

შემთხვევას, რომელიც „ჩარლტონ ატლეტიკის“ და „ჰადერსფილდის“ ფეხბურთის გუნდების შეხვედრისას მოხდა, ინგლისის პრესა აღნიშნავს, როგორც უნიკალურს, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

...მეორე ტაიმის დამთავრებას 28 წუთი აკლდა. თამაში ჰადერსფილდელებს მიჰყავდათ ანგარიშით 5:1. „ჩარლტონის“ ერთმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო და გულშემატკივრებს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ თამაშის შედეგში. ხალხი ნელნელა წამოიშალა... მაგრამ ამ დროს მოხდა მოულოდნელი.. „ჩარლტონის“ ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 6 და თავისში მიიღეს მხოლოდ ერთი ბურთი. თამაში დამთავრდა „ჩარლტონის“ გამარჯვებით 7:6.

ამ მატჩის გმირი იყო „ჩარლტონის“ ცენტრალური თავდამსხმელი სამერსი, რომელმაც დარჩენილ 28 წუთში მოწინააღმდეგის ბადეში 5 ბურთი გაახვია. აღტაცებულმა მაყურებლებმა ოვაცია გაუმართეს სამერს, ხოლო პარტნიორებმა ამ თამაშის სახსოვრად მას გადასცეს ბურთი, რომელზედაც მათი ავტოგრაფები იყო მოთავსებული.

### სრულ სიბნელეში

სენსაციისა და ფულის მოგების მიზნით ამერიკის სპორტული ბიზნესმენებმა პრესის საშუალებით გააკეთეს განცხადება, რომ შედგება მატჩი ჩოგბურთში, სრულ სიბნელეში.

როგორც რეკლამა იტყობინება მოთამაშეთა კოსტუმები, ჩოგნები და ბურთები დაიფარება ფოსფორით.

### რინგზე დაბრუნებისათვის

ცნობილმა მოკრივემ მარჩიანომ, რომელიც მძიმე წონაში დაუმარცხებელ მსოფლიო ჩემპიონად დარჩა, გასულ წელს დატოვა რინგი.

კრივის ერთ-ერთმა ამერიკელმა მენეჯერმა კერნსმა შესთავაზა მარჩიანოს 1.250.000 დოლარი ამჟამად მსოფლიო ჩემპიონ პატერსონთან შეხვედრისათვის. მარჩიანომ არ მიიღო ეს წინადადება. ამასთან მან შეატყობინა, რომ ადრე უფრო მაცდური წინადადება, შესთავაზეს — რინგზე დაბრუნებისათვის 3 მილიონი დოლარი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, 3 მ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02534